№ 282 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. შაბათი, დეკემბრის 11 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ზე გ. 15 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—81.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

შაბათს 11 დეკემბერს საბალეტო სპექტაკლი მუშებისთვინ

„კოპელია"

კვირას 12 დეკემბერს ქართულ ენაზე ოპერა „ლალატი", ორშაბათს, 13 დეკემბერს მორდკინის ბალეტი „ჟიზელი", სამშაბათს 14 დეკემბერს „პიკის ქალი".

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. 1011 1—1

## სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა

### ამით აცხადებს, რომ 19 დეკემბერს ა/წ.

მოწვეულია სიღნაღის მაზრის საერობო ხმოსანთა მე-V ყრილობა.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება საერობო გამგეობის მიმდინარე წლის მოქმედების შესახებ, 2) 1919 წ. ფინანსიური ანგარიშის განხილვა, 3) 1921 წ. შემოსავალ გასავლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 4) სესხის აღების შესახებ, 5) საერობო მოსამსახურეთა ამა წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ, 6) მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა, 7) კაკაბეთის თემიდან ყანდაურის, ახაშნის თემიდან ჩუმლაყის და გურჯაანის თემიდან ვეჯინის გამოყოფის და ახალი თემების დაარსების შესახებ, 8) გამგეობის თავმჯდომარის არჩევა, 9) მიმდინარე საკითხები, ვთხოვთ ყველა ხმოსნებს უეჭველად დაესწრან აღნიშნულ ყრილობას, რომელიც მოხდება დილის 10 საათზე, საერობო გამგეობის ბინაზედ.

სამაზრო საერობო გამგეობა.

1021 5—4

## წყალსადენის აბონენტების საყურადღებოდ

## ქალაქის გამგეობა

### ამით აცხადებს,

რომ საჭიროა წყალსადენის აბონენტებმა მიიღონ ზომები წყალსაზომების ყინვისგან დასაფარავად.

რამდენადაც შესაძლებელია საჭიროა წყალსაზომები შეხვეულ იქნან ჩვრებით; მილების irგვლივ კი დაყრილ უნდა იქნას ნახერხი; გაფუჭებული წყლის ხუფი შეკეთებულ უნდა იქნას.

წყალსაზომების შოვნა სიძნელეს წარმოადგენს (თითო წყალსაზომი ღირს 20.000 მან.) და ვისაც ის გაუფუჭდება ვალდებული იქნება კანონის ძალით გადაიხადოს მისი ღირებულება.

ქალაქის გამგეობა.

1026 3—1

## განცხადება

### შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდის.

### იმ მუშის და მოსამსახურის დაქირავებულები, რომლებიც ღებულობენ მუშათა მაგიდიდან სურსათ-სანოვაგეს,

ვალდებულნი არიან 15 ამა დეკემბრამდე შემოიტანონ დეფიციტის დასაფარავად 5.000 მან. თითეულ მუშა-მოსამსახურეზე. თავის დროზე ფულის შემოუტანლობა გამოიწვევს მაგიდიდან სურსათ-სანოვაგის მიღების შეწყვეტას. ფული მიიღება მუშათა მაგიდის სალაროში (კირკის ქუჩა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების შენობაში) ყოველ დღე დილის 9 საათ. შუადღის 3 საათამდე.

შრომის სამინისტროს საქმეთა მმართველი ი. გოგლიძე.

მუშათა მაგიდის გამგე ვ. ფელაძე.

1024 3—1

## ამა წლის დეკემბრის 15-დან

დილის 10 საათ. ტფილისის ცენტრალურ ფოსტის კანტორაში დაიწყება

## საჯარო ვაჭრობა

და გაიყიდება ვადა გასულ ჩაუბარებელ ამანათებიდან ამოღებული ნივთები.

ფოსტის კანტორის უფროსი ლიპარტიანი.

1025 3—1

## საქართველოს სახაზინო რკინის გზების სამმართველო

### ამით აცხადებს,

რომ დეკემბრის 20-ს დილის 12 საათ. იგი ნიშნავს შეჯიბრებას შემდეგ სამუშაოებზედ:

ვაგონების დატვირთვა და გადმოტვირთვა სხვა და სხვა მასალებით და სათბობი მასალით (ქვა ნახშირი და შეშა) სათბობ მასალის დარიგება საწყობებიდან მოსამსახურეთა სახაზინო ბინაზე. დატვირთვა ორთქმავლების ქვანახშირით და აგრეთვე სხვა და სხვა სამუშაოები სამასალო და სათბობ მასალის შემდეგ საწყობებში: ბათომი, სამტრედია, ფოთი ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, ხაშური, ბორჯომი, ტფილისი, სანაინი და დროებითი საწყობები. ვადა სამუშაოებისა ამა 1 იანვრიდან 1 ივლისამდე 1921 წ. განცხადებები საქართველოს სახ. რკ. გზ. კასის კვიტანციის თანდართვით საწინდრის შეტანის შესახებ 5000 მან. უნდა შემოტანილ ან გამოგზავნილი იქნეს თითეულ საწყობზე ცალკე დახურულ კონვერტში შემდეგი მისამართით: ქალ. ტფილისი, საქართველოს სახაზინო რკ. გზების სამმართველო, სამასალო სამსახურის უფროსს, დაწვრილებითი ცნობების ან გამოთხოვა ზემოაღნიშნულ სამუშაოების შესახებ შეიძლება სამასალო ნაწილის უფროსისაგან და აგრეთვე საწყობების ზედამხედველებისაგან ადგილობრივ 9 საათიდან 3 საათამდე გარდა უქმე დღეებისა.

1027 3—1

## იმერეთის სავაჭრო-სამრეწველო სამეურნეო ბანკის (იმერბანკის)

### ქ. ზესტაფონში.

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 9 დეკემბერს ხსენებულ ბანკის წესდება დაამტკიცა. ძირითადი თანხა ბანკისა პირველ ხანად არის განსაზღვრული 3 (სამი) მილიონ მანეთით, თითო აქცია ღირს ათასი (1000) მან., ხუთი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას.

**ხელის მოწერა მიიღება** ამა დეკემბრის 15-დის **ქ. ზესტაფონში საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში** და ხელის მოწერისთანავე უნდა იქნეს შემოტანილი თითო აქციაზე ღირებულის ნახევარი (500 მან.) და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 50 მან. აქციაზე.

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ

## აქციონერთა პირველი დამფუძნებელი კრება

დანიშნულია ამა წლის 19 დეკემბერს ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბინაზე დღის 12 საათზე.

განსახილველი საკითხებია:

1) საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება.

2) 1921 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

3) ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან აქტივისა და პასსივის მიღება.

4) არჩევნები საბჭოსა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა

და 5) მიმდინარე საკითხები.

4186 3—1

## ოფიციალური ნაწილი.

### განკარგულებანი

**მთავრობის თავმჯდომარისა.**

8 დეკემბერი, 1920 წ. № 34.

მთავრობის ა. წ. დეკემბრის დადგენილების თანახმად მომარაგების მინისტრის ამხანაგი ივანე ჰავჰანიძე დაინიშნოს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

—

**შინაგან საქმეთა მინისტრისა.**

№ 67.

მიმდინარე 1920 წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმს წილათ ხვდა განსაკუთრებული, რთული და პასუხსაგები მუშაობა,— ბრძოლა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივობისადმი მტრულად განწყობილ მავნე ელემენტებისა და ჯგუფების წინააღმდეგ.

ეს მუშაობა მუდამ მოითხოვდა რაზმის უფროსისაგან საქმის ცოდნას, უსაზღვრო ენერგიას, ერთგულობასა და თავდადებას.

ნაყოფი ამ გამუდმებულ საპასუხისმგებლო მუშაობისა უკვე სჩანს, რისთვისაც ღრმა კმაყოფილებით აღვნიშნავ რა ამ მოვლენას, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს გამოუცხადო მადლობა განსაკუთრებული რაზმის უფროსს, მ. კედიას თავის მოვალეობისადმი პირნათლად მოპყრობისათვის.

შინაგან საქმეთა მინისტრი
ნ. რამიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საჯარო ანგარიშ-ვალდებული ყველა საბანკო, სააქციონერო, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათ.**

ცირკულარულად

დამატებად ცირკულიარისა № 2820, მიმდინარე წლის ნოემბრის 10-ს თარიღით, რომელიც დაბეჭდილი იყო „საქართველოს რესპუბლიკის“ № 261-ში, ნოემბრის 17-ს, გაუწყებთ:

1) ჟურნალი „ეკონომიური ცხოვრება“ გამოვა თვეში ორჯერ (თვის პირველსა და თხუთმეტში).

2) სამრეწველო გადასახადის 473 მუხლის განსამარტებლად (კანონთა კრებული ტ. 5 გამოცემული 1903 წ. და გაგრძ. 1906, 1908, 1909 და 1910 წ.წ.): საჯარო ანგარიშ-ვალდებული ყველა დაწესებულებანი ვალდებულნი არიან ხსენებულ ჟურნალში მოათავსონ ხოლმე თავისი ბალანსები: თვიური, ექვსი თვიური და წლიური, აგრეთვე საზოგადო კრების მოწვევისა თუ სხვა განცხადებანი. უკეთუ ხსენებულ განცხადებათა მოთავსებას ხსენებულ ჟურნალ „ეკონომიური ცხოვრება“-ში არ შეასრულებენ აღნიშნული დაწესებულებანი პასუხს აგებენ 437 მუხლის თანახმად.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი

ს. ჟგალიანი.

ფინანსთა და ვაჭრ.-მრეწველ. სამ. კანც. უფროსი შ. ჯაფარიძე.

---

**სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგისა.**

№ 473.

30 ნოემბერი, 1920 წ.

**დათხოვნილია:** სრულიად სამსახურიდან სახელმწიფო კონტროლის სიღნაღის განყოფილების მოანგარიშე მოხელე თამარ გიორგი კობიაშვილის ასული ა. წ. 30 ნოემბრიდან.

№ 481.

7 დეკემბერი, 1920 წ.

**დათხოვნილია** სრულიად სამსახურიდან თანახმად მისი თხოვნისა სახელმწიფო კონტროლის ბათომის საოლქო განყოფილების რევიზორის თანაშემწე ალექსი ივანეს ძე ვასილიევი ა. წ. ოქტომბრიდან.

7 დეკემბერი, 1920., № 482.

**ინიშნება:** სახელმწიფო კონტროლის რევიზორის თანაშემწე მელიტონ ბესარიონის ძე გამისონია რევიზორად ა. წ. 7 დეკემბრიდან.

8 დეკემბერი, 1920 წ. № 483.

**ინიშნება:** სახელმწიფო კონტროლის კანცელარიის მოხელე კონსტანტინე გრიგოლის ძე წვერიანაშვილი ა. წ. 8 დეკემბრიდან.

კონტროლიორის ამხანაგი

კ. ანდრონიკაშვილი.

---

**იუსტიციის მინისტრისა.**

№ 429.

2 დეკემბერი, 1920 წ.

**დაინიშნოს** ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგის თანამდებობას აღმასრულებლად ქ. ქუთაისის I უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ჟღენტი ა. წ. დეკემბრის 2 დან.

№ 433.

**გაუქმებულ იქმნეს** საპყრობილეთა უწყებაში ყველა შტატ გარეშე დ ქირავებულთა თანამდებობანი ა. წ. დეკემბრის 1-დან.

იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე.

---

**მიწად-მოქმედების მინისტრის ამხანაგისა.**

10 ოქტომბერი, 1920 წ. № 401.

**განთავისუფლებულია:** თანამდებობიდან სასოფლო მეურნეობის მავნებელთან მებრძოლ ბიუროს ინსტრუქტორი ბენედიქტე ყიფიანი მისი თხოვნით ა. წ. ნოემბრის 1-დან.

**დანიშნულია:** ვარლამ ლეშკაშვილი ამავე ბიუროს ინსტრუქტორად ა. წ. 1-დან.

11 ნოემბერი, 1920 წ. № 402.

**დაინიშნა:** მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილების რეგისტრატორად არეთა ისიდორეს ასული ქიქოძე. ხოლო ამავე განყოფილების რეგისტრატორი პეტრე გიგოს ძე ბუაჩიძე საქმის მწარმოებლის თანაშემწეთ. ორივე ა. წ. 1 ნოემბრიდან.

14 ნოემბერი, 1920 წ. № 403.

**დათხოვნილია:** ყარაიაზის სახელმწიფო მამულის გამგის თანაშემწე ალექსანდრე სიმონის ძე დანილევსკი სამსახურში არ გამოცხადებისთვის ა. წ. 1 ენკენისთვიდან.

15 გიორგობისთვე, 1920 წ. № 403.

**დამტკიცებულნი არიან:** სატყეოს გამგენი ტყის გამგის მეორე ხარ. თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელნი რაჭისა კალდავ. ქვიტაშვილი, ლეჩხუმის სიმ. მიო. ბენდელიანი, გუდაუთის ნიკ. ფლორენსკი და სამეგრელოს გრიგ. ირაკლის ძე თოფურიძე ტყის გამგეების თანამდებობაზე ა. წ. 1 გიორგობისთვიდან.

15 გიორგობისთვე, 1920 წ. № 405.

**დანიშნულია:** ალექსანდრე გიორგის ძე პავლიშევსკი, ტყის გამგის 2 ხარ. თანაშემწის თანამდებობაზე ა. წ. 15 გიორგობისთვიდან.

15 გიორგობისთვე, 1920 წ. № 406.

**დათხოვნილია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან; ყარაიაზის ტყის გამგე ალექსი იაკობის ძე ბურავლევი ა. წ. გიორგობისთვიდან.

15 ნოემბერი, 1920 წ. № 407.

**დაინიშნა:** კოჯორის სახელმწიფო აგარაკების გამგეთ მოქალაქე ალექსანდრე ვლადიმერის ძე მარსოვი. ხოლო ამავე აგარაკების გამგეთ დროებით მივლინებული ტყის გამგის თანაშემწე მიხეილ იაკობის ძე ფეოდოროვი სახელმწიფო ფონდის გამგეთ. ორივე ა. წ. 16 ნოემბრიდან.

16 ნოემბერი, 1920 წ. № 408.

**დანიშნულია:** სახელმწიფო საჯინიბოს ინსტრუქტორი ე. ვ. ეგგერტი ამავე საჯინიბოს ცხენების სამომშენებლო გამგეთ ა. წ. ივნისის 1 დან.

16 ნოემბერი, 1920 წ. № 409.

**განთავისუფლებულია** თანამდებობიდან: ყარაიაზის ბამბის საცდელი ნაკვეთის გამგე რომან ნატროშვილი მისი თხოვნის თანახმად ა. წ. ნოემბრის 1 დან.

16 ნოემბერი, 1920 წ. № 410.

**ინიშნება:** კურორტთა სექციის გამგე გრიგორი ფილ. ჩუისინი სამინისტროს უფროს სპეციალისტად ა. წ. აგვისტოს 1 დან.

მიწად-მოქმედების მინისტრის

ამხ. მალანია.

---

არა ოფიციალური ნაწილი

---

# დამფუძნებელი კრება

**8 დეკემბრის სხდომა.**

(დასასრული)

ვ. თევზაძე უპასუხებს წინათ მოლაპარაკე ორატორებს, განსაკუთრებით კი ლ. შენგელაიას და ამბობს: ჩვენ ჯერ შევეხებით ყველა იმ დებულებებს, რომელიც აქ წამოყენებული იყო სხვა და სხვა ფრაქციების პასუხისმგებელ წარმომადგენელთა მიერ, რადგანაც ზოგიერთი დებულებები სრულებით არ შეეხებოდა კონსტიტუციას. ის დებულებები უმთავრესად შეეხებოდა შინაურ, სოციალურ პოლიტიკას.

აქ ბ. შენგელაიამ განსაკუთრებული სიმასტიკით გაილაშქრა კონსტიტუციის პროექტის პირველი მუხლის იმ ნაწილის წინააღმდეგ, სადაც ნათქვამია: მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს შენგელაიას აზრით მიუღებელია ყველა სოციალისტებისათვის. ჩვენ ვამბობთ, რომ წარმოუდგენელია ისეთი სოციალისტი, რომელიც ამ დებულებას არ მიიღებს. ამ მუხლში გატარებულია უმრავლესობის ბატონობა. და ეს მუხლი მიმართულია ორი უკიდურესი ხალხის წინააღმდეგ: უკიდურესი მემარცხენეთა და უკიდურეს მემარჯვენეთა წინააღმდეგ. ორივე ეს უკიდურესობა წინააღმდეგია უმრავლესობის ბატონობისა. ამ მუხლში სავსებით თავსდება აგრეთვე სოციალიზმიც. ამიტომ ამ მუხლის წინააღმდეგ გალაშქრება კარგს არაფერს ლაპარაკობს სოც.-რევოლიუციონერთა სასარგებლოდ.

შემდეგ აქ შენგელაიამ სთქვა, რომ წარმოდგენილი პროექტი კონსტიტუციისა არის ძველი, ბურჟუაზიული, იქ არაფერი არის ახალი. მე ვაცხადებ, რომ შენგელაიას ეს დებულება სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. შენგელაიამ განზრახ აუარა გვერდი მე 130 მუხლს ჩვენი კონსტიტუციისას, სადაც სწერია: „რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობითი გზით განასაზოგადოვოს ის სავაჭრო, სამრეწველო და სამეურნეო დარგი და კერძო წარმოება, რომელიც ამისათვის გამოსადეგია“. აი ეს არ არის არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში. შემდეგ ორატორი შეეხო ჩვენს რესპუბლიკაში შინაგან ძალთა განწყობილებას და სთქვა: როდესაც შინაგან ძალთა განწყობილებაზე ვმბობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მარტო რიცხობრივი მხარე საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილისა, არამედ მისი შეხედულება, განწყობილება, შეგნება. და თუ ამ მხრივ მივუდგებით საკითხს, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ჩვენი ქვეყნის დიდი უმრავლესობა დემოკრატიულად არის განწყობილი.

აქ შენგელაიამ ბევრი ციტატები მოიყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ სოც.-დემოკრატებმა 15 წლის განმავლობაში შეხედულებები გამოვიცვალეთ. ამისთვის ციტატების მოყვანა საჭირო არ იყო. მართალია, მდგომარეობა გამოიცვალა, საერთაშორისო განწყობილებაც შეიცვალა და ცხადია, ჩვენ ჩვენი შეხედულება შევუფარდეთ შექმნილ მდგომარეობას. აქ გასაკვირი და დასაძრახისი არაფერია. რევოლიუციონერებმაც შეიცვალეს თავისი შეხედულება: მაგალ. მათ ვერ წარმოედგინათ ამ რევოლიუციამდე საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ დღეს კი ამის მომხრე არიან, ჩვენ ამის დასამტკიცებლად ციტატები არ გვჭირია.

აქ შენგელაიამ ერთმანეთს გადაება მონტესკიოს აზრი და მარქსიზმი. მე არ ვიცი რათ დასჭირდა ორატორს ასეთი ანალოგია. მე ვიტყვი მხოლოდ, რომ მონტესკიოს თეორია თავის დროზე უაღრესად რევოლიუციონური თეორია იყო.

ბ. შენგელაიას ჰგონია, რომ ჩვენ ვცავთ პრეზიდენტის სისტემას, ეს არ არის მართალი. პრეზიდენტის სისტემა გარკვეულია იური დიულ შემეცნებაში. ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგი ვართ პრეზიდენტისა და პრეზიდენტის სისტემისა და ეს აღბეჭდილია ჩვენს კონსტიტუციაში. ჩვენ მხოლოდ გვსურს, რომ მთავრობის ადგილი არ იყოს ცალიერი და ამიტომ მთავრობის თავმჯდომარეს ვანიჭებთ ისეთ უფლებებს, რომელიც ამ სიცალიერიდან უზრუნველყოფს სახელმწიფოს.

დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ ს.-რევოლიუციონერები უმთავრეს მუხლებს ჩვენი კონსტიტუციისას მიიღებენ და თუ არ მიიღეს, მაშინ ისინი წარმოადგენენ საბჭოთა რუსეთის კონსტიტუციის მსგავსს კონსტიტუციას.

მე, ასკვნის ორატორი, არავითარი იმედი არა მაქვს იმ კონსტიტუციისა, რომელთა წარმომადგენელი კორკუნოვის ავტორიტეტით სარგებლობს უფლების განმარტების დროსო.

---

# უცხოეთი

(საინფორმაციო განყოფილების ცნობები)

**შრომის კონფერენცია.**

„ტანი“ იუწყება: შრომის გენერალურმა კონფერენციამ კ ნალამ შინაგანი ღრმა კრიზისი განიცადა, რაც გამოწვეული იყო წინადადებით შექმნათ კონფედერაციის შიგნით კომუნისტური იაჩეიკები, თანახმად მესამე ინტერნალის მეორე კონგრესის რეზოლიუციისა. კონფერენციის ბიუროს ერთოვნულ საბჭოს სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ჟუო და სხვ. რეზოლიუცია კომუნისტური იაჩეიკების წინააღმდეგ იყო მიმართული. რეზოლიუციას მისცა ხმა მხოლოდ 72 კაცმა წინააღმდეგ 29, თავი შეიკავა 23.

ხმის მიცემის ასეთი შედეგი ბიურომ გაიგო ისე, როგორც მეორე კონგრესის რეზოლიუციის ფარული დადასტურება და ამრიგად ბიუროს არ აღმოაჩნდა მტკიცე უმრავლესობა. ამის გამო ჟუომ და მისმა ამხ ნაგებმა გადასწყვიტეს დაეტოვებინათ თავიანთი ადგილები, მაგრამ კრიზისი სასურველად დასრულდა და ჟუო თავის ადგილზე დარჩა. გაზეთი „ტანი“ და საერთოდ მთელი ფრანგული პრესა კიცხავს მემარცხენეთა მოქმედებას ვინაიდან მათი აზრით ასეთ პოლიტიკას შეუძლიან საფრანგეთის შრომის კონფედერაციის სრული დაშლის გამოწვევა.

**ბოლშევიკებ ს წინააღმდეგ.**

ფრანგულ პრესასთან საუბრის დროს ბურცევმა განაცხადა: რაც უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა განვაგრძოთ ომი ბოლშევიკების წინააღმდეგ, როგორც შიგნით ისე რუსეთის გარეშე. რუსეთის შიგნით დიდი ამბები არის მოსალოდნელი. ბოლშევიკები თავის დაცემის წინ იმყოფებიან. ანტიბოლშევიკურმა წრეებმა უნდა ისარგებლონ. იმ ანარქიულ მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფება საბჭოთა მთავრობა და შესცვალონ იგი ნამდვილ ხალხურ დემოკრატიულ წყობილებათ. რუსეთი არ დაივიწყებს იმ დახმარებას, რომელსაც უწევს ამ ჟამად რუსეთის ლტოლვილებს ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა. ეს საუკეთესო დამამტკიცებელია იმისა, რომ ევროპასა, ამერიკასა და რუსეთის შორის მეგობრული განწყობილება არსებობს.

**ვრანგელის დეპეშა.**

გაზეთ „სტამბოლში“ დაბეჭდილია ვრანგელის დეპეშა, ადგილობრივ რუსეთის საელჩოს სახელზე გაგზავნილი. დეპეშაში იგი იუწყება: ჯარისა, ფლოტისა და მცხოვრებთა დაცვას ვანდობ საფრანგეთს, რომელმაც ღირსეულად დააფასა რუსეთის პატრიოტების ბოლშევიკებთან ბრძოლის საქვეყნო მნიშვნელობა. ამავე დროს კრივოშეინმა სთხოვა პრესას დაბეჭდონ მოწოდება დაჭრილთა, ქალთა და ბავშვთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

**დახმარება ყირიმის ლტოლვილებს.**

საფრანგეთში მყოფმა ვრანგელის წარმომადგენელმა მიიღო ვაშინგტონიდან ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატების მთავრობამ გადასწყვიტა ყირიმის ლტოლვილებს ფართო დახმარება აღმოუჩინონ. ადმირალ ბრისტოლს გაეგზავნა განკარგულება, რათა მიიღოს მან საჭირო ზომები რუსეთის ლტოლვილთათვის აქტიური დახმარების აღმოსაჩენად.

---

# საბჭოთა რუსეთში

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობები).

**სამხედრო ცნობა.**

ფრონტებზე სიწყნარეა.

**დაჩაგრულ ერთათვის**

„პრავდას“ მოწინავეში სწერენ, რომ ბურჟუაზიული ქვეყანა ინგრევა. მას არ შეუძლია პერსპექტივის შექმნა, ვინაიდან ის გრძნობს თავის უძლურებას. დაწყებული ომი, რომლის ლოზუნგი იყო „ძირს მილიტარიზმი“, დიდი მსხვერპლის შემდეგ შეიარაღებულ ქვეყნების მეტი მილიტარიზაციით დასრულდა. ომის დასასრულს ძველი ქვეყნის შესაკავშირებლად ვილსონმა გამოიგონა ერთა ლიგა, რომელმაც ორი წლის არსებობის შემდეგ მოაწერა ხელი თავისივე სიკვდილს. პატარა სახელმწიფოებში, ანტანტის ყოფილ მოკავშირეებში არსებობს საშინელი მძულვარება ანტანტის წინააღმდეგ. ძახილი „შორს ანტანტისაგან“ საერთო ლოზუნგათ გადაიქცა. ერთა ლიგა საცოდავ როლს თამაშობს. პოლიტიკას ქმნიან პარიზის, ლონდონის და ვაშინგტონის პოლიტიკოსები, განსაკუთრებით აღმოსავლეთის საკითხში გამოჩნდა ანტანტის უძლურება. სომხეთმა, რომელსაც უწევდა მფარველობას ლონდონის და პარიზის ბირჟა, ჩამოაგდო თავისი მთავრობა და საბჭოთა ძალაუფლება გამოაცხადა. ერთა ლიგის წინადადებაზე დაუყოვნებლივ გაერჩიათ საკითხი, ყველა სახელმწიფოებმა გარდა საფრანგეთისა, მხოლოდ თანაგრძნობა გამოუცხადეს და აღნიშნეს, რომ ისინი თავისი საქმეებით არიან დატვირთულნი. დამონებული ერები საბჭოთა დროშის ქვეშ დგებიან იციან რა, რომ მხოლოდ მასში არის ხსნა დასავლეთ ევროპის კაპიტალის მევახშეებისაგან. სურვილი ეწველებიათ საბჭოთა რესპუბლიკის ჯარი გარს შემორტყმულ მცირე ერების საშუალებით შეიცვალა და პირიქით, ნაყოფი გამოიღო. მცირე ერები აცხადებენ საბჭოთა წესწყობილებას, ისინი სტანჯავენ ბურჟუაზიულ ქვეყნის სხეულს და იცავენ რევოლიუციის ცენტრს—საბჭოთა რუსეთს.

**ანტანტის დამარცხება აღმოსავლეთში.**

„პეტროგრადსკაია პრავდა“ სწერს, რომ უკანასკნელ თვეში ანტანტის კაპიტალისტებმა საშინელი დამარცხება განიცადეს ახლო აღმოსავლეთის თავის პოლიტიკაში. იმისათვის რომ დავეხმაროთ ტრანსპორტს, უნდა ავამუშაოთ ახალი ქარხნები, უნდა უზრუნველვყოთ მუშები ულუფით. ამისათვის კი ჩვენ უნდა გავაძლიეროთ სურსათ-სანოვაგის დამზადება. მაგრამ სარატოვის და ტამბოვის გუბერნიებში და აგრეთვე თათართა რესპუბლიკაში უკანასკნელ დღეებში პურის მოკრება ნელის ტემპით მიმდინარეობს.

**ნახშირი ამერიკიდან**

მურმანსკში ამერიკის ქვა-ნახშირით დატვირთული სამი ნორვეგიის გემი მოვიდა. მოიტანეს 60,000 ფუთი ნახშირი.

**ვრანგელი მოკავშირეების მფარველობის ქვეშ**

რუსეთის სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარე კრასინმა მიმართა ბრიტანეთის პირველი მინისტრს ლოიდ ჯორჯს და იტალიის მინისტრს სფორცას წინადადებით და მიუთითა სერიოზულ მდგომარეობაზე, რომელიც შექმნა კონსტანტინეპოლის ახლო ვრანგელის შეიარაღებული ძალების ყოფნამ. ვრანგელის ჯარის ნაწილი გაიყვანეს ყირიმიდან მოკავშირეთა გემებით. ახლა ეს ჯარები იმყოფებიან ოსმალეთში მოკავშირეთა მფარველობის ქვეშ.

## შინაური ამბები

◆ **ეროვნული სამხატვრო გალერეა.** საეროვნული სამხატვრო გალერეა აცხადებს, რომ კვირას დეკემბრის 12, დღის 1 საათზე გალერეის ბინაში (რუსთაველის პრ. № 13) გაიხსნება ძველი მხატვრობის გამოფენა. გამოფენილი იქნება 16-19 საუკუნოებში ნახატები ქართველ, სპარსელ და დასავლეთ ევროპის მხატვართა მიერ. მხატვრებს, კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენლებს შეუძლიათ უფასოთ შემოსვლა. განსაკუთრებული მოსაწვევი ბარათები არავის არ დაეგზავნება.

◆ **ტეხნიკური კომიტეტის სხდომა.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დეპარტამენტში შესდგა ტეხნიკური კომიტეტის სხდომა, რომელზედაც განიხილეს პროექტი ინსტრუქციისა ექსპერტებისათვის.

პროექტი მოიწონეს და გადასწყვიტეს საბოლოო დასამტკიცებლად გადასცენ იგი ტეხნიკურ კომიტეტის საერთო სხდომას. ამავე სხდომაზე განიხილეს საბოლოო ხარჯთაღრიცხვა საქართველოს წონისა და ზომის პალატასთან არსებულ შესაკეთებელ სახელოსნოს მოწყობისა. გადასწყვიტეს საგანგებო მოხსენება და ხარჯთ-აღრიცხვა წარუდგინონ ფინანსთა მინისტრს.

◆ **რადიო სადგურის მოწყობა.** დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ განიხილა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის გადასცა პროექტი დეკრეტისა საბურთალოში ძლიერ რადიო სადგურის მოწყობის შესახებ.

◆ **კონსტიტუცია განხილვა.** დამფუძნებელი კრების სხდომაზე დეკემბრის 7 გადასწყვიტეს საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განსახილველად გარდა მორიგ სხდომებისა დანიშნული სხდომები ორშაბათობით $5^{1}/_{2}$ სათ. საღ. 10 საათ. და კვირაობით 12-3 საათამდე.

◆ **მისალმება დამფუძნებელ კრებას.** დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელზე ბათომიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მოვიდა: დეკემბრის 4-ს შესდგა მასალითის თემის საერთო კრება, რომელზედაც ი. რამიშვილმა და მიქაბერიძემ მოხსენება გააკეთეს. მოხსენების შემდეგ ყრილობამ დაადგინა მისალმება დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და განუცხადოს მას, რომ ყრილობა მზათ არის ალმოუჩინოს მათ საქმე რო დახმარება. თავის მხრივ თემი შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, ოლქში დემოკრატიულ წყობილებას დამყარებას ავტონომიურ საფუძველზე.

◆ **შეშის სამეურნეო დამზადება.** ტყის საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში არსებული მწვავე შეშის კრიზისი დაადგინა: შეუდგეს დაუყონებლივ ტფილისს ახლო მდებარე ცენტრებში შეშის და ნახშირის სამეურნეო დამზადების ორგანიზაციას სარაიონო ტყის გამგეების საშუალებით. განზრახულია ასეთი დამზადების ფართო მასშტაბით წარმოება.

◆ **მისალმება მთავრობას.** მთავრობის თავმჯდომარის სახელზე ახალ გაგრიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა: გაგრის მაზრის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა კონფერენცია გისურვებთ თქვენ ნაყოფიერ მუშაობას და ფიცს სდებს მთავრობასთან და დამფუძნებელ კრებასთან ერთად იბრძოლეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და აღორძინებისათვის.

◆ **მთავრობის რწმუნებულის ჩამოსვლა.** მთავრობის რწმუნებული შორეულ აღმოსავლეთში დ. ი. როსტომაშვილი ჩამოვიდა იაპონიიდან. ნახვა შეიძლება საღ. 4—5 საათ. (თუმანოვის შესახ., 24).

## ინსტრუქცია შრომის მობილიზაციის კომისიისა

1) სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ბრძანების პირველ მუხლში აღნიშნული შრომის ბეგარა ვალდებულება ეხება რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა მოქალაქეთ 20—40 წლამდე, განურჩევლად ეროვნებისა და ქვეშევრდომობისა, გარდა უმუშევრად დარჩენილ მუშა მოსამსახურეებისა, უცხო მისიის მსახურთა და ცნობილ პოლიტიკურ-რევოლიუციონურ ემიგრანტებისა.

2) შრომის ბეგარა ვალდებულთა სიის შედგენა ევალება ტფილისში სახალხო გვარდიის რაიონულ შტაბებს, საუბნო მილიციის სამართველოს დახმარებით, მხოლოდ პროვინციის ქალაქებში და დაბებში—სოოლქო და რაიონულ შტატებს—ადგილობრივ თვითმართველობების დახმარებით.

**შენიშვნა:** შემდგარი სია ინახება ადგილობრივ და სისტემატიურად ივსება, მხოლოდ ახალი იგზავნება მთავარ სამობილიზაციო კომისიაში. მილიციის სამართველოები სისტემატიურად აწვდიან ცნობებს სიის შემდგენთ.

3) მეორე მუხლში აღნიშნულმა ორგანიზაციებმა ყველა უნდა გამოყონ კომისია და შეუდგენ სიების შედგენას.

4) სამობილიზაციო კომისია, ან თვით სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი, ყოველ ცალკე შემთხვევაში ნიშნავს შრომის ბეგარავალდებულთა მობილიზაციის დღეს და ადგილს, სადაც უნდა გამოცხადდენ ყველა—ბეგარა-ვალდებულნი, წინააღმდეგ შემთხვევაში ითვლებიან შრომის დეზერტირებათ.

5) მობილიზაციით გამოწვეულნი გადაეცემიან საგანგებოთ მოწყობილ სამუშაოს გამგეთ და ექვემდებარებიან სამხედრო დისციპლინას.

**შენიშვნა:** გაწვეულნი იმუშავებენ საკუთარ ტანსაცმელში, მხოლოდ სარჩოთ მიეცემათ გვარდიის ულუფა.

6) ქალ. ტფილისში ბეგარა ვალდებულთათვის (რომელთა მობილიზაცია გამოცხადებულია დეკემბრის 10), უკვე მზადაა სამუშაო ყარაიაზის ტყეში შეშის დასამზადებლად, მხოლოდ პროვინციის შტაბებმა საჩქაროდ უნდა შეატყობინონ მთავარ სამობილიზაციო კომისიას თავისი აზრი ადგილობრივ გასწევეთ მუშაობის შესახებ: თუ ადგილობრივ არაა აუცილებელი გაწვეულთა შრომა, მაშინ ისინი უნდა გამოგზავნონ მთავარ კომისიის განკარგულებაში.

**შენიშვნა:** პროვინციის შტაბის თვითმართველობებთან ერთათ, შეუძლიათ დატოვონ ადგილობრივ გაწვეულნი, თუ იქ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი განიცდიან უმუშაობას და ამასთან შეაძლებელია შეშის დამზადება მახლობლათ. ან და თუ არის აუცილებელი ამა თუ იმ გზების და ხიდების დაკეთება ჯარისა და მუშებისათვის სურსათის და შეშის გამოტანის გასაადვილებლათ.

7) ყოველ გვარი ახსნა განმარტებისათვის მეორე §§ში აღნიშნულ ორგანიზაციებმა უნდა მიმართონ მთავარ სამობილიზაციო კომისიას სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში.

კომისიის თავმჯდომარე **ზ. გურული**.

წევრები: **ლ. წიქ...ძე, ს. შავლიძე, ლ. ჟვანია, თ. ბაბილოძე, თ. ვახაძე.**

## ქალ. თვითმართველობაში

ქალაქის თვითმართველობამ საბჭოს სასურსათო კომისიასთან ერთად დეკემბრის 7, მომხდარ სხდომაზე დაადგინა ახალი ნიხრის შემოღება სურსათ-სანოვაგეზე: ხახვი 25 მ. ნ. მაგიერ 35 მ. ნ. გირვ., კარტოფილი 25—30 მან. ნახშირი 600—800 ფ., კომბოსტო 10—12 მ. გირ. დანარჩენ სანოვაგეზე ნიხრი შეუცვლელად დარჩა.

— ქალაქის თვითმართველობამ ფონდის დამხმარე კომიტეტს ჯარისკაცთა საჭიროებისათვის გადასცა 5 ფ. კალბასი და 5 ფ. საპონი.

— ქალაქის თვითმართველობამ ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულ ქართ. დრამატიულ წრეს ნება მისცა ასწიოს ადგილების ფასები დეკ. მბრის 12. წარმოდგენიდან შემოსული წმინდა მოგება გადაეცემა ფრონტის დამხმარე კომიტეტს. ადგილების ფასები 50—150 მ. ნ. ღირება.

— დეკემ. 12, სახალხო გვარდიის დღეს ქალაქის თვითმართველობის შენობა მორთული და განათებული იქნება.

— ქალაქის თვითმართველობის მორიგ სხდომაზე, რომელიც დანიშნულია შაბათისათვის, შემდეგი საკითხებია განსახილველი: 1) კონტროლიორთა რიცხვის გადიდებისა, 2) საბინაო განყოფილების ინსტრუქციის შეცვლისა და სხვ. შესახებ.

## შრომის სამინისტროში

შრომის სამინისტრომ ყველა მუშათა მაგიდას შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა: თანახმად მთავრობის [ი]ვ. სექტემბრის 30-ს დადგენილებისა ჯარის კაცთა ულუფა მოისპო სამხედრო უწყების დაქირავებულ მოსამსახურეთ. ეს მუშები და მოსამსახურენი უნდა დაკმაყოფილდენ მუშათა მაგიდა საერთო საფუძვლის თანახმად. იმ ადგილებში, სადაც მუშათა მაგიდა არ არსებობს, მათ უნდა მიეცეთ მუშათა მაგიდის მიერ განსაზღვრული ნორმა. რაც შეეხება ოფიცრებსა და სამხედრო მოხელეთ, მათ სამხედრო უწყებიდან უნდა მიიღონ ჯარის კაცის ჩვეულებრივი ულუფა. შრომის სამინისტრო აუწყებს რა ამას მუშათა მაგიდებს ცნობისათვის და სახელმძღვანელოდ, წინადადებას აძლევთ მათ მიიღონ ზომები მთავრობის ზემოაღნიშნულ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

## იუსტიციის სამინისტროში

სოხუმის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ აუწყა იუსტიციის მინისტრს, რომ სასამართლოს განყოფილებათა საერთო ყრილობამ 1921 წ. სოხუმის ოლქის სხვა და სხვა ადგილებში შემდეგი სესიები დანიშნა: 1) ოჩემჩირეში იანვრის 11—14 მდე, 8—11 თებ. მარტის 8—10-მდე, და მაისის 6—10-მდე. 2) გუდაუთში იანვრის 22—28-მდე, თებერვ. 22—25-მდე, და აპრილის 13—16 მდე. 3) გაგრაში მარტის 23—26 მდე. აპრ. 27—30-მდე, მაისის 18—21, და ივნისის 22—25-მდე, გალში ივნისის 1—4-მდე.

— ოთხშაბათს დეკემბრის 8-ს, იუსტიციის მინისტრის რ. არსენიძის თავმჯდომარეობით შესდგა კანონთა გადამსინჯავ კომისიის პლენარული სხდომა. განიხილეს კომისიის სისხლის სამართლის განყოფილების მიერ შემუშავებული კანონპროექტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წესდებაში ზოგიერთ ცვლილების შეტანის შესახებ. კომისიამ ცვლილება შეიტანა წესდების მე 9 მუხლში. კანონპროექტის განხილვა არ დამთავრებულა. შემდეგი სხდომა დეკ. 11 სათვის არის დანიშნული.

## მიწად-მოქმედების სამინისტროში

მიწად მოქმედების სატყეო განყოფილებამ თავის ხელქვეით დაწესებულებებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც შემდეგს აღნიშნავს: საქართველოს რკინის გზების სადგურებიდან შეშის და სხვა სატყეო მასალის გამოგზავნის დროს ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სატყეო განყოფილება რესპუბლიკის ტყეთა გამგეებს და აგრეთვე გზათა სამმართველოს წინადადებას აძლევს მიიღოს და გამოგზავნოს შეშა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მათ წარუდგენენ სათანადო მოწმობებს ადგილობრივ მმართველობის მიერ გაცემულს იმის შესახებ, რომ შეშა და სატყეო მასალები დამზადებულია და შეძენილია თანახმად არსებულ კანონებისა. ცირკულიარში აღნიშნულია, რომ ასეთ მოწმობების მიღების გასაადვილებლად და გასამარტივებლად დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ უშუალოდ ადგილობრივ ტყის გამგეებს და არა მიწად-მოქმედების სამინისტროს.

## მუშათა მაგიდა

შრომის სამინისტრო იმ საზოგადო და კერძო დამქირავებელთა დაწესებულებებს, რომელთა მოსამსახურეები და მუშები იღებენ მუშათა მაგიდიდან სურსათ-სანოვაგეს, აცნობებს რომ ისინი ვალდებულნი არიან დეკემბრის 15 მდე დაფ ცატის დასაფარავად ყოველ მუშაზე და მოსამსახურეზე ახალი 5000 მანეთი შემოიტანონ, აღნიშნულ თანხის დროზე შემოუტანლობა გამოიწვევს მუშათა მაგიდიდან პურის და სხვა სურსათის მიცემის შეწყვეტას. ფულის მიღება სწარმოებს მუშათა მაგიდის სალაროში. (კიროჩნის ქუჩა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების შენობაში). ყოველ დღიურათ დილის 9 საათიდან დღის 3 საათ.

## მომარაგების სამინისტროში

მომარაგების სამინისტრომ ფრანგულ სამრეწველო და საფინანსო საზოგადოებასთან, რომელიც ფრანგულ რადიო ელექტრიულ საზოგადოებას წარმოადგენს, ხელი მოაწერა იმ ხელშეკრულებას, რომელიც ეხება საქართველოში ძლიერი რადიო სადგურის ჩამოტანას და მოწყობას. რადიო სადგურის მოქმედების რადიუსი უნდა უდრიდეს ტფილისიდან ლონდონამდე არსებულ მანძილს. ახალ რადიო სადგურს დამოკიდებულება უნდა ექნეს ევროპის უდიდეს ცენტრებთან—პარიზთან, ლონდონთან, რომთან, მოსკოვთან და სხვ. თანახმად ხელშეკრულებისა, მომარაგების სამინისტრომ რადიო სადგურის მოწყობაში უნდა გადაიხადოს სათანადო რაოდენობის სოხუმის თამბაქო. სადგური მოწყობილი უნდა იქნეს ამ უახლოეს 6 თვის განმავლობაში. ამ დღეებში ამავე პირობებში ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას 4 უმავთულო ტელეფონის სადგურთა მოწყობის შესახებ. ეს სადგურები მოეწყობა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში. უმავთულო ტელეფონის ცენტრალური სადგური იქნება ტფილისში.

## რევიზია ბორჩალოს მაზრაში

მთავრობის მიერ ბორჩალოს მაზრის ადგილობრივ მართვა-გამგეობის ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა სასამართლო პალატის წევრის ბ-ნ კობიაშვილის თავმჯდომარეობით დანიშნულმა საგანგებო რევიზიამ დაასრულა უმთავრესი დაწესებულებათა რევიზია და ვრცელი წერილობითი მოხსენება წარუდგინა ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარეს, რევიზიის შედეგების შესახებ. რევიზიამ აღმოაჩინა სხვა და სხვა დაწესებულებათა მოხელეთაგან ჩადენილი ბოროტ-მოქმედება ყველას წინააღმდეგ რევიზიის თავმჯდომარემ აღძრა საქმეები და ზოგი მათგანი დააპატიმრა. ბ-ნ კობიაშვილს მთავრობის თავმჯდომარემ დაავალა ყველა მის მიერ აღძრული საქმეების საერთო ხელმძღვანელობა და რევიზიის საბოლოო დამთავრება.

## პროფესიონალური ცხოვრება

ტფილისის ცენტრალურ საბჭოსა და სეკრეტარიატის აღმასრულებელი კომიტეტის შეერთებულ სხდომაზე მიიღეს პროფესიონალურ კავშირთა მდგომარეობის გამოსარკვევად დანიშნულ კომისიის შემდეგი წინადადებანი: 1) გამოიმუშაონ და ცხოვრებაში გაატარონ ინსტრუქციათა ნორმალური წესდება მართველობის ორგანოების კოლექტიური ხელშეკრულება და სტატისტიკურ საქმის წარმოებისა და ანგარიშის ფორმები. ამის შემუშავება ენდობა საკანონმდებლო კომისიას, 2) აუცილებელ საჭიროებად იცნონ კავშირის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია: მომავალში კავშირებში მიღებული უნდა იქმნას მხოლოდ და მოლოდ დაქირავებული პირები. ცენტრალურმა კავშირომა მუშები უნდა გააწესრიგოს სათანადო კავშირში; 3) მიზან შეწონილად იცნონ საწევრო გადასახადის შეტანა კავშირის ადგილობრივ მყოფ რწმუნებულთა საშვალებით; 4) აუცილებელ საჭიროებათ იცნოს ყველასთვის ერთგვარი გადასახადის დაწესება. აუცილებელ საჭიროებად იცნონ აგრეთვე იმ კავშირებში, სადაც წევრთა რიცხვი 200 აღემატება, დაარსება დელეგატთა საკრებულოსი, რომელიც კავშირის ხელმძღვანელ ორგანოთ ჩაითვლება, 5) პროფესიონალურ სექციათა არსებობა მიზანშეწონილად იცნონ, როგორც ცენტრალურ სამმართველოს დამხმარე ორგანო. 6) აუცილებელ საჭიროებად იცნონ ტფილისის საბჭოსთან საორგანიზაციო შრომის დამცველ და კულტურულ განმანათლებელ განყოფილებათა დაარსება, 7) საჭიროდ იცნონ პერიოდული ბეჭდვა ანგარიშებისა ტფილისის საბჭოს მოღვაწეობის შესახებ, 8) განსახილველად დაისვას საკითხი შრომის ნაყოფიერების გამოსარკვევ და წარმოებათა მდგომარეობის გამოკვლევის შესახებ.

აღმასრულებელმა კომიტეტმა და სეკრეტარიატმა შეერთებულ სხდომაზე მოისმინა რა მთავრობის დადგენილება პურის რაციონის გადიდებისა და მუშა მოსამსახურეთადმი შაქრის, შეშის, ნავთისა და კომბოსტოს მიწოდების შესახებ დაადგინა: 1) სთხოვოს მთავრობას დააჩქაროს ზემოაღნიშნულ დადგენილების ცხოვრებაში გატარება, 2) ეს კანონი გაავრცელოს მთელს რესპუბლიკაში და ამ მიზნით ადგილობრივ მოეწყოს სათანადო აპარატები, 3) იმ ადგილებში, სადაც შეუძლებელი იქნება ამ ლონისძიების გატარება, მუშებსა და მოსამსახურეებს მიეცეს ფულით დახმარება.

პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა მიმართოს საქართველოს ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციას მოწოდებით, რომ მათ ღირსეულად იდღესასწაულონ სახალხო გვარდიის დღე.

აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა გამოსცეს კარლ კაუცკის წიგნი: „სოციალიზმის საერთაშორისო პრობლემა და საქართველო".


განცხადებანი

დაიკარგა მოწმობა, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან, სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 100. და მეტრიკული მოწმობა ნიკოლოზ იოსების ძე გარიცელოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4129 3—2

დაიკარგა მორიგ ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 1 გრიგოლ იაკობის ძე ციტრინის სახელზე, მიღებული ტფ. 4 უბნის კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4113 3—2

დაიკარგა სიმტკიცის მოწმობა, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსისგან 1888 წ. მარტის 8 ს რეესტრით № 262 და გირავნობის მოწმობა 1909 წ. მაისის 23 ს რეესტრით № 1091 დავით გრიგოლის ძე ტერ-სააკოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4128 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 2865 თამარ ნიკოლოზის ასული ქ ნდიევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან გაუქმებულად ჩაითვალოს. 4079 3—3

დაიკარგა პასპორტი აკულინა სტეფანეს ასული ეფიმოვის სახელზე, მიღებული კავკავის მილიციიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4077 3—3

დაიკარგა პასპორტი ნიკოლოზ რუბენის ნემივის სახელზე, მიღებული ტფ მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4123 3—2

ქ. სურამის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებული მხიარულა ხამედ ოღლის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მხიარულა ხამედ ოღლის ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. 1 ნ. 10 ტ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 997 3—3

დაიკარგა პასპორტი №1150 ეკატერინე პავლეს ასული კოლოკრივოვას სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4097 3—3

დაიკარგა მოწმობა №1383 სათადარიგო პორუჩიკი რამონოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგ ნ 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4099 3—3

დაიკარგა მოწმობა სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების შესახებ, მოცემული ტფილისის სამხედრო უფროსისაგან გობრონ ქრისტეფორის ძე ციცქიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4112 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან, სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა (ლურჯი ბილეთი), მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან 1904 წ. ს. დემოკ. პარტიის წევრობის წიგნაკი და სარეგისტრაციო ბარათი. ლევან დავითის ძე ტერ-გალუსტოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4116 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან და მეტრიკა დავით ნიკოლოზის ძე ჯაფარიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4156 3—2

დაიკარგა პასპორტი მარიამ ბარისის ასული ბისტოვის სახელზე, მიღებული ფოთის მილიციის სამართველოდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4158 3—2

მინდობილობა № 2873 მიცემული ალექსანდრა ნიკოლოზის ასული საოქისოვის მიერ გრიგოლ ლიუდვიგის ძე სარქისოვის სახელზე დამოწმებული ტფ. ნოტარიუს ლუკომსკის მიერ გაუქმებულია. 4144 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 21 კ პიტო ბესარიონის ძე ადეიშვილის სახელზე, მიღებული ქუთ. სამხ. აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4096 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი ივანე დანიელის ძე თეთრუაშვილის სახელზე, მიღებული ტფილ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4102 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა გიორგი კოტეს ძე სვანიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4108 3—2

დაიკარგა მოწმობა № 158 გიაშა მარდუხის ძე ბეილინის სახელზე, მიღებული ტფ პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4110 3—2

დაიკარგა პასპორტი მოშე ხაიმ იონათანის ძე აივაზაშვილის სახელზე, მიღებული გორის კომისრისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4111 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 108 ელენე ანტონის ასული მაკედონოვის სახელზე, მიღებული ტვერის გუბერნიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს 4103 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ვერის ხევის ხრამში მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის აბრამოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4107 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 5570 ამაიაკ ტიგრანის ძე აგაბაბიანცის სახელზე, მიღებული სომხების კონსულისაგან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4082 3—3

დაიკარგა პასპორტი გრიკორ გეორქას ძე არიუტინიანცის სახელზე, მიღებული ახალციხეში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4086 3—3

დაიკარგა პასპორტი № 286 ფუზი ბექირის ასული ანხაროვას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4088 3—3

დაიკარგა პასპორტი № 23112 ხაიმ ზელიკ აბრამის ძე პლისის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4083 3—3

დაიკარგა პასპორტი № 198 დარია ანტონის ასული კრივოშეევის სახელზე, მიღებული ბაქოს მილიციიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4078 3—3

დაიკარგა პასპორტი ვენიამინ ბარისის ძე ნეიმანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4165 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრისაგან და სამხედრო ბეგარიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო საკრებულოდან—არსენ (იგივე სარიბეგ) გრიგორის ძე ტერ-ბარსეგოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4168 3—1

დაიკარგა პასპორტი № 3318 ტიგრან ალექსანდრეს ძე ბაგინოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4169 3—1

დაიკარგა კვიტანცია № 55191 ყოფილი რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის კონტორის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4171 3—1

დაიკარგა პასპორტი ნინო ალექსანდრეს ასული ჩხეიძის სახელზე, მიღებული ს ჩხერის სოფ. კომისრისაგან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4174 3—1

დაიკარგა პასპორტი № 7431 რუბენ ეფრემის ძე გიზეიანცის სახელზე, მიღებული ერევანში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4175 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი შედგენილი ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტ. 21 ოქტომბერს 1917 წ. № 2819 რესტრ. იაკობ მიხეილის ძე ბაღდადიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4179 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული გორის კომისარიატიდან 1918 წ. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ერისთავის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4180 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი, გინზბურგის ქ. № 14 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის შერმაზანოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4166 3—1

დაიკარგა მორიგ ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 2232 დავით ციციანოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4170 3—1

დაიკარგა ოფიცერთა ეკონომიურ საზ. საწევრო წიგნაკი № 9131 მიხეილ ავლოხაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4159 3—1

დაიკარგა პასპორტი ლეონიდ ნიკოლოზის ძე ალექსიძის სახელზე, მიღებული საქართველოს მისიიდან ქ. ბაქოში 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4148 3—1

დაიკარგა პასპორტი ლიუსიკ გასპარის ასული პარსეგოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 4133 3—1

დაიკარგა მიღებული 1917 წ. ტფ. რეალური სასწავლებლიდან ატესტატი № 574 და მოწმობა № 521 გიორგი ვაიჩესლავის ძე ადამოვიჩის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4148 3—1

დაიკარგა ტრამვაიზე მოგზაურობის მოწმობა სურათით № 1200, კოტე პეტრეს ძე შარვაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4149 3—1

ნალჩიანი აშოთა, ბალანაშვილი არჩილ, ბეკურაშვილი არჩილ, ხალათიანი ართავაზ, იავრიან მარტიროს, არუტუნიან ვაგან, პაპიკიან სარქის, ვაგან ფენარჯიანი, კონსტანტინე კუზანოვი, ოციან ლეონ, ბაბლოიანი სარქის, ეკოპიან ლეონ, ცხვედაძე გიორგი აცხადებენ რომ მათ დაკარგეს პირადობის მოწმობანი, მიცემული ქალაქის სახელოსნო სასწავლებლიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. (უ) 3—1

ფედოსი რევაზის ასული ჩახავა აცხადებს, რომ მის მიერ სიმონ რევაზის ძე ნაჭყეპიას სახელზე მიმდინარე 1920 წელში გაცემული, სენაკის ნოტარიუსთან განცხადებული, რწმუნების ფურცელი გაუქმებულად ჩაითვალოს. 4177 5—1

სააქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ საზოგადოება „კახეთი"-ს დაუკარგავს ღვინის გატანის მოწმობის ფურცლები №№ 7957, 7958, 7959, 7960, რომლებიც 28 მაისიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვლება. 4167 3—1

დაიკარგა პასპორტი № 4700, მიხეილ ალექსის ძე კოვალენკოვ-კოვალიოვის სახელზე, მიღებული რუსთა ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4173 3—1

დაიკარგა პასპორტი № 450, კარაპეტ ხაჩატურის ძე ვოსკანიანცის სახელზე, მიღებული ტფილ. პოლიცეიმეისტერის სამართველოდან 1913 წ. გაუქმებულად ჩაითვლება. 4163 3—1

დაიკარგა პასპორტი № 205, გარეგინ აკოფის ძე მხითარიანცის სახელზე, მიღებული ბაქოს პოლიციმეისტერის სამართველოდან 1912 წ. გაუქმებულად ჩაითვლება. 4164 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან, პირადობის მოწმობა სურათით, მიღებული საქართველოს სახ. რკ. გზის სამმართველოდან, რკ. გზელთა პროფესიონალური კავშირის წიგნაკი და სამარხიკასის წიგნაკი და ს. დემოკ. პარტიის წევრობის ბარათი თედორე ქიტესის ძე პეტრიაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4131 3—1

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის უწყება № 2407 და მეტრიკა № 700 ბენიამინ რუბენის ძე აბრამაშვილი სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 4130 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და პირადობის მოწმობა, მიღებული სავაჭრო საზოგადოება „კახეთი"-დან ევსევი ალექსის ძე ებანოიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4181 3—1

დაიკარგა ნამსახურობის სია, მიღებული მე-11 ათასეულიდან და მეტრიკული ამონაწერი, მიღებული ს. ბარის მღვდლისაგან თადეოზ ივანეს ძე ლოთვაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4135 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 363 მილიციონერი აკაკი მოსეს ელენტის სახელზე, მიღებული ტფ მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4140 3—1

დაიკარგა სამსახურის ნუსხა მალაქია სპირიდონის ძე გვიმბრაძის სახელზე, მიღებული მე 6-ე ათასეულიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4141 3—1

დაიკარგა პასპორტი № 187 გიორგი კონსტანტინეს ძე ვეხტიევის სახელზე, მიღებული ბათომის თვითმართველობიდან 1907 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4142 3—1

დაიკარგა მეტრიკა, ვადაგასული პასპორტი, მიღებული ქარელის საბჭოდან 1917 წ. პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან და მოწმობა, მიღებული ქარელის თემიდან. ივანე ალექსის ძე ქალახსაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4143 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი მიხეილ ივანეს ძე მირიმანოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4147 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი პეტროვსკის ქ. № 16 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ბალუევს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4150 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული პოლიცმეისტრის სამმართველოდან, ღვინის მოტანის ნებართვა, მიღებული სააქციზო სამმართველოდან. სურსათის ჩამოტანის ნებართვა, მიღებული ტფ. მე 8 ე უბნის კომისარიატიდან, სამი ფუთი გოგირდის ორდერი, მიღებული მიწ. მოქ. სამინისტროდან. ეს. დემოკრ. პარტიის წევრობის წიგნაკი იოსებ ავეტისას ხითაროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4151 3—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 613 და სამსახურის ნუსხა, მიღებული მე-5-ე ქვეითა ათასეულიდან ალექსი პავლეს ძე დავითურის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4153 3—1

დაიკარგა პასპორტი ირინე ივანეს ასული ნოვიკოვის სახელზე, მიღებული კავკასიის ჯარების შტაბიდან და მეტრიკული ამოწერილობები ვალენტინა და ნინო ლეშჩუკოვების. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4155 3—1

# საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქვემოდ აღნიშნული საქონელი და ტვირთი საჯაროდ გაიყიდება ცენტრალურ საწყობში ამა წლის „20" დეკემბერს დილის ათ საათზე და თუ დანიშნულ ვადაზე არ გაიყიდა, ხელმეორედ ვ ჭრობა მოხდება „21" დეკემბერს 1920 წ.

**ტ ვ ი რ თ ი**

ტფილისიდ ნ—საჯევახო № 616545 რიგ. № 361 მინერალური წყალი ქებაძისაგან—პირველი კლას ს მებუფეტე—14 ფ. 6 გ., ქვ ლონიდან—ნავთლუღში № 11214 რიგ. № 364 ცარიელა კასრები გაგზ. ქ ნტურია მამლები გარკვევით არ არის 2 ფ. 10 გ.

**„ბ ა გ ა ჟ ი"**

ტფილისიდან—ბაკურიანი № 2959 რიგ. № 327—3 ფ., ტფილისიდან—ბორჯომში № 14498 რიგ. № 358—5 ფ. 10 გ; ავჭალიდან—სალოლოში № 6647 რიგ. № 356—4 ფ. 10 გ: ქუთაისიდან—ტფილისში № 52755 რიგ. № 349—7 ფ; ბათუმიდან—ტფილისში № 38025 რიგ. № 398—2 ფ.; ქარელიდან—ტფილისში № 25673 რიგ. № 347—20 გ.; ბორჯომ. პარ.—ტფილისში № 14451 რიგ. № 346—2 ფ; გორიდან ტფილისში № 90323 რიგ. № 345—30 გირ.; მცხეთიდან—ტფილისში № 7115 რიგ. № 344—30 გ.; ბორჯომ პარ.—ტფილისში № 14850 რიგ. № 343—2 ფ. 5 გ.; ქიათურიდან—ტფილისში № 20427 რიგ. № 342—20 გ.; გორიდან—ტფილისში № 90775 რიგ. № 341—5 ფ. 30 გ.; ზესტაფონიდან—ტფილისში № 61547 რიგ. № 340—2 ფ. 8 გ.; ძირულიდან—ტფილისში № 12841 რიგ. № 339—1 ფ. 5 გ.; ბაბაშიდან—ტფილისში № 50131 რიგ. 338—3 ფ. თეთრიდან—ტფილისში № 90074 რიგ. № 337—2 ფ. 15 გ.; ბათუმიდან—ტფილისში № 37585 რიგ. № 336—4 ფ. 35 გ.; ცაგვერიდან—ტფილისში № 12835 რიგ. № 329—6 ფ. 20 გ.; ბაკურიანიდან—ტფილისში № 8673 რიგ. № 330—3 ფ.; ბათუმიდან—ტფილისში № 39497 რიგ. № 332—1 ფ. 25 გ.; ტფილისიდან—ფოთში № 6475 რიგ. № 363—30 გირ.; გომიდან—ფოთში № 18651 რიგ. 362—1 ფ.; ლანჩხუთიდან—ფოთში № 13726 რიგ. № 360—4 ფ. 30 გ.; სადახლოდან—სანაინში № 16675 რიგ. № 357—2 ფ. 30 გ.; ტფილისის სადგურის აქტი № 434—10/XI რიგ. № 354—1 ფ. 29 გ.; აქტი ტფილისის სადგურის № 435 რიგ. სადგურის № 436 რიგ. № 353—5 ფ. 10 გ.; აქტი ტფილისის სადგურის № 460 რიგ. № 350—3 ფ. 4 გირ. 1028 3—1